(8)

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აგვისტო 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის I შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:475537 Y:4621461
X:476295 Y:4621371
X:475904 Y:4621191
:475312 Y:4620975
X:475356 Y:4621048
N
1:4,5

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:**03-032418434**
თარიღი: **02/07/2024**

ადრესატი:

ნინო ვარდოსანიძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

17-032412163-03

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, მ/ წლის 14 ივნისის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრის, შალვა ოგბაიძის მხრიდან გაჟღერდა წინადადება, ქ. თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის მსახიობ გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

შალვა ოგბაიძის განცხადებით გიორგი გაბელაშვილმა შექმნა სახასიათო როლები ქართულ კინოში, გადაღებულია ფილმებში: "უკანასკნელი ჯვაროსნები" , "დაკარგული სამოთხე", "ფატიმა", "თოჯინები იცინიან", "მხიარული რომანი" და სხვა. მსახიობი 1990 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

წინადადების განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელების მიზნით გთხოვთ შემდგომ მითითებებს.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

გიორგი გაბელაშვილი

(1903-1990)

მსახიობი

დაამთავრა ეკონომიკური უმაღლესი კურსები 1924 წელს, ხოლო სამსახიობო სტუდია 1927 წელს.

გადაღებულია ფილმებში: "უკანასკნელი ჯვაროსნები" (გოგია, 1933), "უკანასკნელი მასკარადი" (ვარდენი, 1934), "დაკარგული სამოთხე" (1937), "ფატიმა" (1958), "ყვავილი თოვლზე" (1959), "თოჯინები იცინიან" (ვარლამი, 1962), "ცეროდენა რაინდები" (ამბაკო, 1963), "მხირაული რომანი" (1972) და სხვა.

იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.